საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3484-02
09/11/2018

რექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N3468-02 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და პროცედურების შესახებ“ ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, მე-20 და 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. რექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N3468-02 ბრძანების მეორე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge .“
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
3. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამართლის სკოლას, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი